

ივან გოლოვინი, „კავკასია“

Ivan Golovin, The Caucasus by Ivan Golovin. London, Trübner & Co., 1854

The German colonies of the Trans-Caucasus were originated in 1818, and are composed of Suabian emigrants, whose number is now four thousand. Helenendorf is the most populous, but is not prosperous. Katherinerfeld answers better; and the nearest to Tiflis is New Tiflis. The Germans bring butter and the best vegetables to the market of Tiflis. Their countrymen of America may envy them the wine which they successfully grow, but not the Russian knout, to which they are subjected, though they are free from being enlisted. (92)

ამიერკავკასიის გერმანული კოლონიები წარმოიშვა 1818 წელს და შედგება შვაბიელი ემიგრანტებისგან, რომელთა რიცხვი ამჟამად ოთხი ათასია. ელენენდორფი ყველაზე ხალხმრავალია, მაგრამ არ ყვავის. კატერინენფელდი უკეთესია; ხოლო ტფილისთან ყველაზე ახლოს ახალი ტფილისია. გერმანელებს ტფილისის ბაზარში კარაქი და საუკეთესო ბოსტნეული დააქვთ. ამერიკაში მყოფ მათ თანამემამულეებს შეიძლება შეშურდეთ იმ ღვინის გამო, რომელსაც ისინი წარმატებით აყენებენ, მაგრამ არა რუსული მათრახისა, რომელსაც ისინი ემორჩილებიან, თუმცა ისინი თავისუფლები არიან ჯარში გაწვევისგან.

Tiflis contains 30,000 inhabitants; it may be compared to Prague for its general aspect and to Cairo for the concourse and active life, of which it is the theatre. The streets are not so fine as the places or squares. There are forty-three churches, but Georgian and Armenian cupolas are conic, and not round like those of Russian churches. (112)

ტფილისში 30,000 მოსახლეა; თავისი ზოგადი იერსახით ის შეიძლება პრადას შევადაროთ, ხოლო ხალხმრავლობითა და აქტიური ცხოვრებით, რომლის ასპარეზიც ის არის, – კაიროს. ქუჩები არც ისე კარგია, როგორც მოედნები ან სკვერები. იქ ორმოცდასამი ეკლესიაა, მაგრამ ქართული და სომხური გუმბათები კონუსებია და არა მრგვალი რუსული ეკლესიების მსგავსად.

The palace of the general governor, in the new town, is a fine edifice; it was built with the arches of the ancient (112) palace of the kings of Georgia; and the gardens which belong to it are, on Sundays, open to the public. The theatre, which was begun some time ago, is no doubt completed. There is a botanical garden, but it requires great improvement to deserve its name. The bazaar, which is a rendezvous of a numerous population, composed of many races, is very attractive and excites curiosity in the highest degree; there you meet the Georgian and the Armenian, the Imeretian and the Circassian, the Russian warrior and the Tartar, all distinguished from one another by their various costumes. There Europe and Asia intermix through commerce, elbow one another, exhibiting the striking contrast of their physiognomy and language. The Turk, the Jew who speaks Spanish, and the Colon who talks German, carry on there, also, their commercial transactions. The artisans exercise their trade in the street, by the side of the merchants who sell their products (113).

ახალ ქალაქში მდებარე მეფისმაცვლის სასახლე შესანიშნავი შენობაა; ის საქართველოს მეფეთა ძველი (112) სასახლის თაღებითაა აგებული; ხოლო მისი ბაღები კვირაობით ღიაა საზოგადოებისთვის. თეატრი, რომლის მშენებლობა რამდენიმე ხნის წინ დაიწყო, უეჭველია, უკვე დასრულდა. იქ არის ბოტანიკური ბაღი, მაგრამ ამ სახელის დასამსახურებლად დიდ გაუმჯობესებას საჭიროებს. ბაზარი, სადაც მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იყრის თავს, მრავალი რასისგან შედგება, ძალიან მიმზიდველია და ძლიერ ცნობისმოყვარეობას აღძრავს; იქ შეხვდებით ქართველს და სომეხს, იმერელსა და ჩერქეზს, რუს მეომარსა და თათარს; ერთმანეთისგან ყველა კოსტიუმებით განსხვავდებოდა. იქ ევროპა და აზია ერთმანეთში ვაჭრობის გზით ირევა, ერთმანეთს ეჯახება, თავიანთი ფიზიონომიისა და ენის გასაოცარ კონტრასტს წარმოაჩენენ. თურქი, ესპანურად მოლაპარაკე ებრაელი და გერმანულად მოსაუბრე ახალმოშენე აგრეთვე აწარმოებენ თავიანთ სავაჭრო საქმეებს. ხელოსნები ქუჩაში მუშაობენ ვაჭრების გვერდით, რომლებიც მათ პროდუქციას ყიდიან (113).

Russian morals have invaded Tiflis, and the virtue of Georgian women is not the better for it. We ought not to wonder if the conquests of Russian officers, in the society of Tiflis, were the real cause that prevents them from being victorious in Daghestan. A people of licentious morals is little calculated to subdue other nations (113-114).

ტფილისში რუსული ზნე-ჩვეულება შეიჭრა და ქართველი ქალის ზნეობა ამით უკეთესი არ გამხდარა. არ უნდა ვეცადოთ იმის გარკვევას, იყო თუ არა ტფილისის საზოგადოებაში რუსი ოფიცრების გამარჯვებების რეალური მიზეზი ის, რაც დაღესტანში ხელს უშლის მათ გამარჯვებას. აღვირახსნილი ზნეობის მქონე ხალხი სხვა ერების დასამორჩილებლად ნაკლებად გამოდგება.

(ინგლისურიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)